სეზონის ბოლო მატჩი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 21 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ზარია” (ვოროშილოვგრადი) 3:2 (1:2).

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, წერეთელი, გ. ნოდია, ესებუა.

“ზარია”: ფორკაში, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ანდრეევი, კუკსოვი, ელისეევი.

მსაჯი: ა. ლიპატოვი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე მოხდა ისე, რომ თბილისის “დინამოს” ხელთ აღმოჩნდა ორი გუნდის ბედი, რომელთაგან ერთ–ერთს უნდა დაეტოვებინა უმაღლესი ლიგა. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან ის არითმეტიკული ამოცანა, რომელიც გადასაწყვეტი იყო ამ მატჩში: თუ თბილისის “დინამო” 2 ან მეტი ბურთის სხვაობით მოუგებდა “ზარიას”, უძლიერესთა რიგებში ადგილს ინარჩუნებდა ალმა–ათის “ქაირათი”, 1 ბურთის განსხვავებით წაგება კი ვოროშილოვგრადელებს საბოლოოდ აძლევდა საიმედო XIV ადგილს. აქ იყო თავისებური დუელი – “დაუსწრებელი” ალმაათელთა, ხოლო “დასწრებული” – ვოროშილოვგრადელთა მხრივ. წარმატებას მიაღწია მან, ვინც “დასწრებულად” იბრძოდა თავისი ბედის გადასაწყვეტად.

მატჩი დაიწყო იმით, რომ სტუმრებმა მე–10 წუთისთვის ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს “დინამოს” კარში (ელისეევი, ანდრეევი).

შემდგომში ინიციატივამ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა. 35–ე წუთზე მ. მაჩაიძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, 79–ე წუთზე კი მანვე გაათანაბრა ანგარიში. უამრავი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ დინამოელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება: 88–ე წუთზე გ. ნოდიამ გადამწყვეტი ბურთი შეაგდო “ზარიას” კარში.

ც. ფცქიალაძე.

“ლელო”, 28 ნოემბერი, 1974 წ.